



სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080168091884220

№ 4423

04 / ნოემბერი / 2020
წ.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიისთვის სახელმწიფო შესყიდვის
გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის
თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2020 წლის 30 ოქტომბერს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის SMP200004445 მომართვა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი

მომართვის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია გეგმავს ქალაქ ფოთში, დემეტრე თავდადებულის ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოების (პირველი ეტაპი) შესყიდვას (CPV45200000 - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები).

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 20 ოქტომბრის, N ბ 42.422029422 ბრძანების საფუძველზე, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტსა და ამხანაგობა „ტოპგრუპი“-ს შორის, ქალაქ ფოთში, დემეტრე თავდადებულის ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოების (პირველი ეტაპი) შესყიდვის მიზნით, NAT200007603 ელექტრონული ტენდერის ფარგლებში 2020 წლის 15 ივლისს გაფორმებული, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N128 ხელშეკრულება, ცალმხრივად შეწყდა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. ამხანაგობა „ტოპგრუპი“-ს მიერ სამუშაოების მიმდინარეობისას განხორციელებულ იქნა მხოლოდ სადემონტაჟო და მიწის სამუშაოები, რაც მოიცავდა ეზოებში შესასვლელების დემონტაჟს და სანიაღვრე არხის მოსაწყობად ტრანშეის გათხრას. აღნიშნული სამუშაოების წარმოება დაკავშირებულია სამუშაო არეალზე საავტომობილო, თუ საფეხმავლო მოძრაობის ნაწილობრივ შეზღუდვასთან, სამშენებლო ნარჩენების, ინერტული მასალების და მათგან გამონვეული მტვრის დიდი ოდენობის წარმოშობასთან, რაც იწვევს ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილებას.

აღნიშნულ ქუჩაზე ასფალტის საფარის მოწყობის სამუშაოების შესყიდვაზე (ქალაქ ფოთში, თავდადებულის ქუჩის რეაბილიტაციის მეორე ეტაპი) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულია ელექტრონული ტენდერი NAT200015218, რომელიც შერჩევა/შეფასების ეტაპზეა, ამასთან პრობლემურ სიტუაციას ქმნის ის ფაქტი, რომ ასფალტის მოწყობის სამუშაოების დაწყება შეუძლებელია, სანამ არ განხორციელდება პირველი ეტაპის სამუშაოები. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, აუცილებელია დემეტრე თავდადებულის ქუჩის რეაბილიტაციის პირველი ეტაპის სამუშაოების შესყიდვა განხორციელდეს შეზღუდულ ვადებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მნიშვნელოვანი ზიანი მიადგება საზოგადოებრივ ინტერესებს.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის განხორციელების საჭიროება, რამდენადაც, როგორც მომართვიდან ირკვევა, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტსა და ამხანაგობა „ტოპგრუპი“-ს შორის, ქალაქ ფოთში, დემეტრე თავდადებულის ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოების (პირველი ეტაპი) შესყიდვის მიზნით, NAT200007603 ელექტრონული ტენდერის ფარგლებში 2020 წლის 15 ივლისს გაფორმებული, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N128 ხელშეკრულება, ცალმხრივად შეწყდა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. ამხანაგობა „ტოპგრუპი“-ს მიერ სამუშაოების მიმდინარეობისას განხორციელდა მხოლოდ სადემონტაჟო და მიწის სამუშაოები, რაც მოიცავდა ეზოებში შესასვლელების დემონტაჟს და სანიღვრე არხის მოსაწყობად ტრანშეის გათხრას. აღნიშნული სამუშაოების წარმოება დაკავშირებულია სამუშაო არეალზე საავტომობილო, თუ საფეხმავლო მოძრაობის ნაწილობრივ შეზღუდვასთან, სამშენებლო ნარჩენების, ინერტული მასალების და მათგან გამონვეული მტვრის დიდი ოდენობის წარმოშობასთან, რაც იწვევს ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილებას.

აღნიშნულ ქუჩაზე ასფალტის საფარის მოწყობის სამუშაოების შესყიდვაზე (ქალაქ ფოთში, თავდადებულის ქუჩის რეაბილიტაციის მეორე ეტაპი) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულია ელექტრონული ტენდერი NAT200015218, რომელიც შერჩევა/შეფასების ეტაპზეა, ამასთან პრობლემურ სიტუაციას ქმნის ის ფაქტი, რომ ასფალტის მოწყობის სამუშაოების დაწყება შეუძლებელია, სანამ არ განხორციელდება პირველი ეტაპის სამუშაოები. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, აუცილებელია დემეტრე თავდადებულის ქუჩის რეაბილიტაციის პირველი ეტაპის სამუშაოების შესყიდვა განხორციელდეს შეზღუდულ ვადებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მნიშვნელოვანი ზიანი მიადგება საზოგადოებრივ ინტერესებს.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია გადაუდებელი აუცილებლობის აღმოსაფხვრელად საჭირო შესყიდვა განხორციელდეს მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.


ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა. ასევე, შემსყიდველმა ორგანიზაციამ უზრუნველყოს რელევანტური მიმწოდებლის შერჩევა და ამ შერჩევასთან დაკავშირებული პროცედურების კანონიერება. დამატებით აღვნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის SMP200004445 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.
2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე



ლევან რაზმაძე